გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში

ნინო გუჯარაიძე
მწვანე ალტერნატივა
დეკემბერი, 2018

კვლევა მომზადდა ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალურ ბიუროსთან თანამშრომლობით მიმდინარე პროექტის ფარგლებში - „ადვოკატირება მინერალური რესურსების გამჭვირვალე და პასუხისმგებლიანი მართვისთვის“

საქართველოს კონსტიტუცია

მუხლი 24

- ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია;

მუხლი 37

- ყველას აქვს უფლება, დროულად მიიღოს სრული და ობიექტური ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ.

მუხლი 29. გარემოს დაცვის უფლება

- ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით.
- ყველას აქვს უფლება დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ.
- ყველას აქვს უფლება ზრუნავდეს გარემოს დაცვაზე.
- გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლება უზრუნველყოფილია კანონით.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი 2013 წლის სექტემბერი

- პროაქტიული გამოქვეყნება – საჯარო დაწესებულების მიერ საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელი საჯარო ინფორმაციის ელექტრონულ რესურსებზე განთავსება.
- საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესითა და პირობებით.

- კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ
- ძალაში შესვლის თარიღი: 30/10/2001
- მუხლი 5. გარემოსდაცვითი ინფორმაციის შეგროვება და გავრცელება

გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენება

ოფიციალური სახელმწიფო დოკუმენტი, რომელიც ასახავს ქვეყანაში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მდგომარეობას.

- 2007 წლამდე - ყოველწლიურად;
- 2008 წლიდან - 3 წელიწადში ერთხელ;
- 2016 წლის ცვლილებით - 4 წელიწადში ერთხელ

გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენება

- 2007-2009 წლების ანგარიში 2011 წლის დეკემბერში დამტკიცდა;
- 2010-2013 წლების ანგარიში 2016 წლის სექტემბერში დამტკიცდა.
- შემდეგი: 2014-2017

2010-2013 წლების ანგარიში

- მიმოხილვითი ხასიათის არის;
- შეიცავს ძალიან ზედაპირულ და ზოგად ინფორმაციას გარემოს მსხვილი დამბინძურებლების მიერ გარემოსათვის მიყენებული ზიანის თაობაზე და შესაბამისად, პრობლემების გადაჭრისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ

გარემოს მდგომაროების შესახებ ეროვნული მოხსენება

- არ არის ხელმისაწვდომი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინიტროს ვებ-გვერდზე;
- არ არის ხელმისაწვდომი გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე;
- ხელმისაწვდომია მხოლოდ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებ-გვერდზე.

გარემოს ეროვნული სააგენტო

- გარემოზე დაკვირვების მონაცემთა დამუშავება, გარემოს მდგომარეობის შეფასება და შესაბამისი ინფორმაციის გავრცელება სააგენტოს ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა.

ყოველთვიური საინფორმაციო ბიულეტენი „საქართველოს გარემოს დაბინძურების შესახებ“

1. თბილისში სამ ქუჩაზე, ბათუმში ორ ქუჩაზე, ქუთაისში, ზესტაფონში, ჭიათურასა და რუსთავში ერთ ქუჩაზე ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაზომვების შესახებ;
2. სხვადასხვა მდინარეზე, ტბასა და წყალსაცავებზე ზედაპირული წყლის ხარისხის გაზომვების შედეგები;
3. ქუთაისის, ბათუმის, ბოლნისის, ახალციხის, თელავის, მესტიის, თბილისის, ფოთის, საჩხერის, ზესტაფონის, ფასანაურის, გორის, ლაგოდეხის, ახალქალაქის და დედოფლისწყაროს სადგურების რადიაციული ფონის მაჩვენებლები.

ნაკლოვანება

- მონიტორინგის შედეგები არ არის წარმოდგენილი მომხმარებლისთვის გასაგებ ფორმატში;
- არ არის გაანალიზებული კვლევის შედეგები და მნიშვნელობა;
- არ არის ახსნილი ნივთიერების შემცველობის ზდკ-ს გადაჭარბების მნიშვნელობა, მიზეზები და საფრთხეები.
- არ არის ახსნილი რა ღირებულების არის მოცემული ინფორმაცია; შესაძლებელია თუ არა მოყვანილი მონაცემების განზოგადება, ქალაქის, რაიონის და ან თუნდაც ქვეყნის მასშტაბით.

სააგენტოს ვებ-გვერდზე არ ქვეყნდება:

- ყოველწლიური საინფორმაციო გეოლოგიური ბიულეტენი მოსალოდნელი საშიშროების რისკისა და გასატარებელი პრევენციული ღონისძიებების დასახვით, ცალკეული რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი



გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

- გარემოზე ზემოქმედების ნებართვების რუკა/რეესტრი;
- გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენებები;
- სამინისტროს წლიური ანგარიში 2016;
- გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2013-2014წ.წ. ანგარიში

წიაღის ეროვნული სააგენტო

- შეიქმნა 2017 წლის 27 დეკემბერს
- აქვს Facebook-გვერდი
- „სააგენტოს ერთ-ერთ მთავარ პლატფორმას წარმოადგენს ერთიანი სახელმწიფო გეოლოგიური ფონდი https://nam-geofund.archival-services.gov.ge/, სადაც დაცულია ინფორმაცია ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ ყველა სახის გეოლოგიური სამუშაოების შესახებ“.

ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

- www.tacsa.gov.ge
- წლიური ანგარიშები/FB პოსტები;
- მშენებლობის ნებართვები;
- ინსპექტირების ოქმები;

მსხვილი დამბინძურებლების მიერ საზოგადოებისთვის მიწოდებული ინფორმაცია

ორჰუსის კონვენციის მე-5 მუხლი

- მხარეებმა უნდა უზრუნველყონ გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მქონე საწარმოების მიერ ანგარიშგების სავალდებულო სისტემების შექმნა, რათა უზრუნველყოფილ იქნას ხელისუფლების ორგანოებისათვის ზუსტი ინფორმაციის მიწოდება იმ მიმდინარე ან დაგეგმილი საქმიანობის შესახებ, რომელმაც საგრძნობი ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს გარემოზე.

მსხვილი დამბინძურებლების მიერ საზოგადოებისთვის მიწოდებული ინფორმაცია

ორჰუსის კონვენციის მე-5 მუხლი

- სახელმწიფოებმა უნდა მოუწოდონ მწარმოებლებს, რომელთა საქმიანობა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს გარემოზე, ეკოლოგიური აუდიტის ან სხვა საშუალებების მეშვეობით, რეგულარულად მიაწოდონ საზოგადოებას ინფორმაცია მათი საქმიანობის და პროდუქციის გარემოზე ზემოქმედების შესახებ.
- ამასთან, ქვეყნები ვალდებულნი არიან სულ უფრო მეტი ასეთი სახის ინფორმაცია განათავსონ ელექტრონულ რესურსებზე.